

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “Retail Group Georgia”

2020 წლის 31 მარტი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “Retail Group Georgia”-ს მფლობელებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული შპს “Retail Group Georgia”-ს (“კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად “ჯგუფი”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების და აღნიშნული თარიღით კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ISAs”). ჩვენი პაუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 და 20 შენიშვნებს, რომლებიც აღწერს COVID-19 პანდემიის გავლენასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას. 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ჯგუფმა დახურა ყველა საცალო მაღაზია პანდემიის საპასუხოდ, ხოლო მაღაზიები ორი თვის განმავლობაში გაჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი გეგმავს მაღაზიების გახსნას 2020 წლის 25 მაისს, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შეიძლება მიაღწიოს გაყიდვების მოცულობამ ჩვეულებრივ პანდემიამდე პერიოდს არსებულ მონაცემებს. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა საკითხები

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ანგარიშგების მე-20 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დაშვებებს.

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში ჯგუფში შემავალი კომპანიები მრავალ ტრანზაქციას ახორციელებენ სხვა კომპანიებთან საერთო კონტროლის ქვეშ და საბოლოო მაკონტროლებელ მხარესთან (საქონლის მიწოდება, მიღებული სესხი წინასწარ შეთანხმებული გადახდის გრაფიკისა და დაფარვის საბოლოო თარიღის გარეშე). ჯგუფი მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ სარგებელს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუცია). ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

მმართველობითი ანგარიშგება

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება ამ აუდიტის დასკვნის წარდგენის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებაზე მოსაზრებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით, თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან წარდგენას, სტრუქტურას და შემცველობას, რომელიც მოიცავს წარდგენებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი



2020 წლის 21 მაისი


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	4	35,059	26,455
ძირითადი საშუალებები	5	81,136	-
აქტივის გამოყენების უფლება		116,195	26,455
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	43,123	40,831
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	25,487	26,413
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		1,308	1,321
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	6,964	4,652
		76,882	73,217
		193,077	99,672
სულ აქტივები			
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	9.2	88,958	95,387
კაპიტალში კონტრიბუცია		(1,028)	(10,732)
აკუმულირებული ზარალი		87,930	84,655
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	71,907	-
		71,907	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	22,190	15,017
საიჯარო ვალდებულებები	10	11,050	-
		33,240	15,017
		193,077	99,672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 15 მაისს.

რაფაზ მაღალაშვილი

საცალო გაყიდვების დირექტორი



ფიქრია გვიშიანი

ფინანსური მენეჯერი



თანდართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
შემოსავალი	12	153,130	123,099
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(99,740)	(83,114)
საერთო მოგება		53,390	39,985
სხვა შემოსავლები		6,446	2
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	14	(10,063)	(7,165)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(38,125)	(30,272)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		11,648	2,550
ფინანსური შემოსავალი	16	371	606
ფინანსური ხარჯი	16	(5,172)	(398)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება	17	2,870	2,221
მოგება დაბეგვრამდე		9,717	4,979
მოგების გადასახადი	18	(13)	(423)
წლის მოგება		9,704	4,556
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი გაერთიანებული შემოსავალი		9,704	4,556

თანდართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული ზარალი	სულ
2018 წლის 1 აპრილი	103,492	(15,288)	88,204
მოგება წლის განმავლობაში	-	4,556	4,556
წლის მთლიანი გაერთიანებული შემოსავალი	-	4,556	4,556
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება სესხის პირობების შეცვლის გამო(შენიშვნა (9.2))	(3,586)	-	(3,586)
კაპიტალში კონტრიბუციის კლება(შენიშვნა (9.2))	(4,519)	-	(4,519)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	(8,105)	-	(8,105)
2019 წლის 31 მარტი	95,387	(10,732)	84,655
მოგება წლის განმავლობაში	-	9,704	9,704
წლის მთლიანი გაერთიანებული შემოსავალი	-	9,704	9,704
კაპიტალში კონტრიბუციის კლება(შენიშვნა (9.2))	(6,429)	-	(6,429)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	(6,429)	-	(6,429)
2020 წლის 31 მარტი	88,958	(1,028)	87,930

თანდართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება წლის განმავლობაში		9,704	4,556
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	15	13,659	6,992
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	15	642	718
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	15	916	932
მარაგების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	15	2,569	(409)
მარაგების ჩამოწრა	15	6,348	-
საპროცენტო ხარჯი	17	5,172	398
მოგების გადასახადის ხარჯი		13	423
ფინანსური შემოსავალი	16	(371)	(606)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	17	(2,870)	(2,221)
<i>საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</i>		<u>35,782</u>	<u>10,783</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		4,284	1,466
მარაგების ცვლილება		(11,209)	(880)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		5,628	5,105
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<u>34,485</u>	<u>16,474</u>
გადახდილი პროცენტი		-	(82)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(418)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<u>-</u>	<u>15,974</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(17,546)	(2,275)
მიღებული საპროცენტო შემოსავლები		371	606
<i>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		<u>(17,175)</u>	<u>(1,669)</u>
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
დაფარული სესხები	25	(9,662)	(15,043)
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება		(6,429)	(4,519)
<i>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</i>		<u>(16,091)</u>	<u>(19,562)</u>
წმინდა მატება/(კლება) ფულსა და საბანკო ანგარიშებზე		1,219	(5,257)
საკუროს სხვაობის გავლენა ფულზე		1,093	129
ფული საბანკო ანგარიშებსა და ხელზე პერიოდის დასაწყისში		4,652	9,780
ფული საბანკო ანგარიშებსა და ხელზე პერიოდის ბოლოს		<u>6,964</u>	<u>4,652</u>

თანდართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „Retail Group Georgia“, ჯგუფის მშობელი კომპანიაა, არსებობს 2011 წლის აპრილიდან.

ჯგუფის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ცნობილი ბრენდების ტანსაცმლითა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა 50-ზე მეტი მაღაზიის საშუალებით, რომლებიც მდებარეობს თბილისის სავაჭრო ცენტრებსა და მოლებში.

ჯგუფის შემადგენლობაშია მის მიერ დაარსებული და სრულად ფლობილი შვილობილი კომპანიები (შენიშვნა 2.6).

ჯგუფის მიერ დასაქმებულთა საშუალო რიცხვი 2020 წლის 31 მარტისთვის შეადგენს 748-ს. (2019 წლის 31 მარტი : 637)

მშობელი კომპანის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ძველი თბილისის რაიონი, თელავის ქ. #20, თბილისი, საქართველო.

მშობელი კომპანიის ოფისის მისამართია: ქეთევან წამებულის გამზირი 50/18, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გასაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა ღირებულებაც განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (წინააღმდეგ შემთხვევაში აღვნიშნავთ), რადგან ხელმძღვანელობის აზრით მოცემული ვალუტა უფრო მეტად გამოსაყენებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგავლებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ჯგუფმა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 აპრილს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან

ფასს 9 - ში შეტანილი ცვლილებები: წინასწარ გადასახადის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით

ფასს 9-ის თანახმად სავალდებულო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუკი საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდები“ (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტის მფლობელი, ამ კლასიფიკაციით, შესაბამისი ბიზნეს მოდელია. ცვლილებები ფასს 9-ში განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მხარისა, რომელიც იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლების და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები ნარჩენი ღირებულება იჯარის წამოწყების

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი. კომპანიის მიერ წინა პერიოდში წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ დაკორექტირებულა.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოეყენებინა ფასს 16-ის გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

ჯგუფმა გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, ჯგუფი დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, ჯგუფმა გამოიყენა არჩევითი გამონაკლისები არ აღიარებინათ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, ფასს 16-ით აღიარებული საიჯარო ვალდებულებებზე გამოყენებული საშუალო

შეწონილი სესხის ადების პროცენტული მაჩვენებელი იყო 5,81%.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აისახოს, ბასს 12-ით გათვალისწინებული, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, კერძოდ: (ა) საწარმო მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე იხილავს თუ არა; (ბ) რა დაშვებებს აკეთებს საწარმო საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით; (გ) როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და საგადასახადო განაკვეთებს; და (დ) როგორ ითვალისწინებს საწარმო ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს.

ჯგუფმა აირჩია ფასიკ 23 რეტროსპექტიულად, გაუნაწილებელ მოგებაში დაფიქსირებული კუმულაციური ეფექტის გამოყენებით თავდაპირველი განაცხადის თარიღისთვის, 2019 წლის 1 იანვარი. ფასიკ 23-ის მიღებამ გამოიწვია ქართული ლარის [თანხის] მოგების გადასახადის ვალდებულებების ზრდა, რაც დაკავშირებულია ჯგუფის სატრანსფერო ფასების სტრუქტურასთან. კორპორატიული საგადასახადო ვალდებულებების ზრდის გავლენა დაფიქსირდა გაუნაწილებელ მოგებაში.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია ჯგუფს.

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ჯგუფს ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2020 წლის 31 მარტი

	შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გარტიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
1	Retail Group Holding Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
2	Fashion Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
3	Spanish Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
4	Global Apparel Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
5	Mega Store Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
6	Master Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
7	Pro Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
8	Best Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
9	Master Home Retail	100%	საქართველო	10-მარტი-2017	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	10-მარტი-2017

2019 წლის 31 მარტი

შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გართიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
1 Retail Group Holding Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
2 Fashion Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
3 Spanish Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
4 Global Apparel Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
5 Mega Store Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
6 Master Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
7 Pro Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
8 Best Retail Georgia	100%	საქართველო	1-ივლისი-2011	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	1-ივლისი-2011
9 Master Home Retail	100%	საქართველო	10-მარტი-2017	ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობა	10-მარტი-2017

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს დედა კომპანიისა და ყველა მისი შვილობილი კომპანიის ანგარიშებს 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით. ყველა შვილობილ კომპანიას საანგარიშგებო თარიღი აქვს 31 მარტი.

ჯგუფის კომპანიებს შორის ყველა ოპერაცია და ნაშთი აღმოიფხვრება კონსოლიდაციის შედეგად, ჯგუფის კომპანიებს შორის არარეალიზებული მოგებისა და ზარალის ჩათვლით. როდესაც ჯგუფში აქტივების გაყიდვების არარეალიზებული ზარალი ანაზღაურდება კონსოლიდაციის შედეგად, ძირითადი აქტივი ასევე შემოწმდება ჯგუფის პერსპექტივიდან გაუფასურების შესახებ. შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილი თანხები შესწორდა საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მიერ მიღებულ სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

შემენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიების მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში აღიარებულია შემენის ფაქტიური თარიღიდან, ან გადაცემის ფაქტიური თარიღიდან, როგორც მისაღებია.

ჯგუფი ასახავს შვილობილი კომპანიებისა და მშობელ მფლობელებს შორის მთლიან სრულ შემოსავალს ან ზარალს და არაკონტროლირებად ინტერესებს მათი საკუთრების შესაბამისი ინტერესებიდან გამომდინარე.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 მარტს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2845 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.6363 ლარს (2019 წლის 31 მარტი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6914 ლარი და ერთი ევრო 3.0203 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობასთან კაპიტალიზირდება ცალკე აქტივად და იცვითება აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სატრანსპორტო საშუალებები	-	25%
ავეჯი	-	10-12.5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	12.5%
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	-	10-12.5%.

3.4 საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შეზღუდვა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა 2.5-ში, კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულია. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისათვის.
- აქვს თუ არა ჯგუფს ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.

- აქვს თუ არა ჯგუფს უფლება განსაზღვროს აქტივის გამოყენების წესი. განსაზღვროს აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მთლიანი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

ჯგუფი აქტივებისთვის, გამოყენების უფლებით, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი, ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

ჯგუფმა გადაწყვიტა აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა პრაქტიკული ექსპედიციის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გაოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარდგენილია ცალკე.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ფასს 16-ის შესაბამისად ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეცვლილა შედარებით პერიოდთან შედარებით.

როგორც მეიჯარე, ჯგუფი აკლასიფიცირებს იჯარებს როგორც საოპერაციო, ისე ფინანსურ იჯარად.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

კომპანია, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის

სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა კომპანიაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრი ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივების ცვეთის მეთოდებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.**

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება/ზარალში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება გაწეულ ხარჯებად.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 21.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცლებს ზასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლბიგ აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 20 (ბ) დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ობლიგაციებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 21.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, შემცირებული გაცემის დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. რეალურ და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან განსაკუთრებული აქტივის წარმოებასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ფული და მისი ექვივალენტები

ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, საბანკო ანგარიშებზე და ფული გზაში. ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. ჯგუფის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიდა წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი.

3.9 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

ყველა ტრანზაქცია მშობელი კომპანიის მფლობელებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახდელი გადასახადი / (ანაზღაურებადი) წლის შემოსავალზე / (ზარალზე), საანგარიშო თარიღის შესაბამისად არსებული ან სპეციალურად დადგენილი გადასახადის განაკვეთების გამოყენებით, ასევე წინა წლებში არსებული გადასახადების ნებისმიერი კორექტირების გათვალისწინებით.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1-ლი იანვრიდან.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავალი

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ტანსაცმლის რეალიზაციიდან საცალო მაღაზიების ქსელის მეშვეობით, ან აქციების ხელახალი მიყიდვით საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი ჯგუფი განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივის კონტროლს. აქტივის კონტროლი ეხება აქტივიდან სარგებლობის და არსებითად ყველა დანარჩენი სარგებელის გამოყენების შესაძლებლობას.

ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებებს ანაზღაურებულად (წინასწარ ანაზღაურებულად) საკონტრაქტო შეუსრულებელი სამუშაოების მიხედვით და ამ თანხებს აფიქსირებს, როგორც სხვა ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მსაგვსად, თუკი ჯგუფი შეასრულებს კონტრაქტის ვალდებულებებს, მანამ, სანამ მიიღებს ანაზღაურებას, ჯგუფი აღიარებს მას, ან როგორც

საკონტრაქტო აქტივს, ან როგორც მოთხოვნას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, იმის მიხედვით, არის თუ არა დრო ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ჯგუფს არ აქვს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები და არ აწვდის იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს დაუკმაყოფილებელი შესასრულებელი ვალდებულებები გაყიდვების მომენტის გარდა.

საქონლის გაყიდვა

შემოსავალი ფასდება მიღებული კომპენსაციის ან მოთხოვნის ოდენობით, ჯგუფის მიერ ნებადართული ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით და აღიარდება გაყიდვის მომენტში.

შემოსავალი შემცირებულია საქონლის დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და სხვა მსგავსი ფასდათმობებით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ხდება დროის შესაბამისად, გადაუხდელი ძირი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი

	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვი ლობა	სატრანს- პორტო საშუალ ე-ბები	კომპიუტერე ბი და სხვა აღჭურვილო ბა	სულ
ღირებულება					
2018 წლის 1 აპრილი	31,445	27,556	350	4,588	63,939
შემოსვლა	868	417	-	990	2,275
გასვლა	(1,697)	(37)	-	-	(1,734)
2019 წლის 31 მარტი	30,616	27,936	350	5,578	64,480
შემოსვლა	14,419	749	8	2,370	17,546
გასვლა	(1,160)	(393)	-	(4)	(1,557)
2020 წლის 31 მარტი	43,875	28,292	358	7,944	80,469
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2018 წლის 1 აპრილი	17,961	10,966	257	1,935	31,119
წლის ცვეთა	3,248	411	33	3,298	6,990
გასვლის შედეგად ცვეთის კორექტირება	(988)	(28)	-	-	(1,016)
გაუფასურების ზარალი	521	382	-	29	932
2019 წლის 31 მარტი	20,742	11,731	290	5,262	38,025
წლის ცვეთა	3,848	2,881	52	603	7,384
გასვლის შედეგად ცვეთის კორექტირება	(842)	(71)	-	(2)	(915)
გაუფასურების ზარალი	579	313	-	24	916
2020 წლის 31 მარტი	24,327	14,854	342	5,887	45,410
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 მარტი	9,874	16,205	60	316	26,455
2020 წლის 31 მარტი	19,548	13,438	16	2,057	35,059

ცვეთის ხარჯი და ზარალი გაუფასურებიდან აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და ავეჯის და სხვა საოფისე აღჭურვილობის ზრდა წარმოადგენს დანახარჯებს ახლად გახსნილ მაღაზიებში.

გაუფასურება, რომელიც აღიარებულია 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და ავეჯის და სხვა საოფისე აღჭურვილობის ზრდა წარმოადგენს დანახარჯებს ახლად გახსნილ მაღაზიებში. 2020 წლის 31 მარტისთვის გაუფასურებულია ჯგუფის ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა აღჭურვილობა, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა, რომელიც მიეკუთვნება ცალკეული შემოსავლის წარმომქმნელ მაღაზიებს,

- მაღაზიები, რომლებიც მენეჯმენტის გადაწყვეტილებით დაიხურა საანგარიშო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;

- რომელთა საქმიანობაც მოსალოდნელზე მეტად გაუარესდა და ხელმძღვანელობა არ ელის მდგომარეობის გამოსწორებას უახლოესი 3 წლის განმავლობაში.

მაღაზიების ჩამონათვალი, რომელიც განიცდის ზარალს გაუფასურებიდან წარმოდგენილია ქვემოთ:

მაღაზია	მდებარეობა	მიზეზი
Lasenza	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
La Vie En Rose	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
Spring	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა

მაღაზია	მდებარეობა	მიზეზი
F&F	“თბილისი მოლი”	დახურულია
Jennyfer	“თბილისი მოლი”	დახურულია
Lipsy	“თბილისი მოლი”	დახურულია
Wallis	“თბილისი მოლი”	დახურულია

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი უკავშირდება შემდეგ კლასებს:

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
Lasenza	53	47	1	101
La Vie En Rose	47	11	1	59
Spring	27	11	1	39
F&F	272	177	14	463
Jennyfer	84	15	1	100
Lipsy	43	15	1	59
Wallis	57	37	1	95
	583	313	20	916

საიჯარო ქონების გაუმჯობესება, რომელიც უკავშირდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს, შემცირებული მუშაობით, სრულად გაუფასურებულია და ნულამდე შემცირდა, რადგან მათ არც სამართლიანი ღირებულება აქვთ და არც გამოყენების მნიშვნელობა.

დარჩენილი აქტივების ანაზღაურებადი თანხები გაუფასურებული ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში განისაზღვრა, როგორც რეალური ღირებულება, განკარგვის ხარჯების შემცირებით. სამართლიანი ღირებულების გაზომვების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ 23-ე შენიშვნა.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი თანხა 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით არის შემდეგი:

ათასი ლარი	სულ
Lasenza	49
La Vie En Rose	15
Spring	14
F&F	233
Jennyfer	21
Lipsy	20
Wallis	39
	391

გაუფასურება, რომელიც აღიარებულია 2019 წლის 31 მარტის დასრულებული წლის განმავლობაში

2019 წლის 31 მარტის დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა აჩვენა გაუფასურების ზარალი საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ავეჯი და მოწყობილობები, კომპიუტერი და სხვა მოწყობილობები, რომლებიც დაკავშირებულია მრავალ მაღაზიასთან, რომლებიც წარმოადგენენ ფულადი სახსრების გამომუშავების ცალკეულ ერთეულებს, რომელთა შესრულებაც მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად გაუარესდა დამენეჯმენტი არ ელოდება რაიმე გაუმჯობესებას შემდგომი სამი წლის განმავლობაში.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი შემდეგი ერთეულების მიმართ:

მაღაზია	მდებარეობა	მიზეზი
Banana Republic	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
F&F	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
Jennyfer	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი უკავშირდება შემდეგ კლასებს:

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
Banana Republic	95	134	2	231
F&F	333	228	26	587
Jennyfer	93	20	1	114
	521	382	29	932

საიჯარო ქონების გაუმჯობესება, რომელიც უკავშირდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს, შემცირებული ეფექტურობით, სრულად გაუფასურებულია და ნულამდე შემცირდა, რადგან მათ არც სამართლიანი ღირებულება აქვთ და არც გამოყენების მნიშვნელობა.

დარჩენილი აქტივების ანაზღაურებადი თანხები გაუფასურებული ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში განისაზღვრა, როგორც რეალური ღირებულება, განკარგვის ხარჯების შემცირებით. სამართლიანი ღირებულების გაზომვების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ 20-ე შენიშვნა.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი თანხა 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით შემდეგია:

ათასი ლარი	სულ
Banana Republic	143
F&F	331
Jennyfer	27
	501

5 აქტივების გამოყენების უფლება

ათასი ლარი	შენიშვნა- ნაგებობები	სულ
<i>ღირებულება</i>		
2019 წლის 1 აპრილი	-	-
ფასს 16-ზე გადასვლის კორექტირება	87,411	87,411
2020 წლის 31 მარტი	87,411	87,411
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2019 წლის 1 აპრილი	-	-
წლის ცვეთა	6,275	6,275
2020 წლის 31 მარტი	6,275	6,275
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2019 წლის 1 აპრილი	-	-
2020 წლის 31 მარტი	81,136	81,136

იჯარით აღებული აქტივები მოიცავს მაღაზიებს საიჯარო ვადით 10-20 წლამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი წარდგენილია მე -15 შენიშვნაში.

6 მარაგები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
გასაყიდად არსებული ტანსაცმელი და აქსესუარები	40,783	39,601
ძნელად გაყიდვადი და მოძველებული მარაგების გაუფასურების რეზერვი	(3,294)	(725)
საქონელი გზაში	3,892	216
მაღაზიის მოსართავი ინვენტარი	127	127
შესაფუთი მასალები	1,615	1,612
	43,123	40,831

2020 წლის 31 მარტს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა აღიარა გაუფასურებული მარაგების რეზერვის ზრდა 2,569 ათასი ლარით (2019 წლის 31 მარტი: ნულამდე) (იხილეთ შენიშვნა 15).

წლის განმავლობაში ჩამოწერილი იქნა დახურული მაღაზიები 6,348 ათასი ლარის ოდენობით (იხ. შენიშვნა 15).

ჯგუფის მარაგებით უზრუნველყოფილია ჯგუფის საბანკო გარანტია.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	9,716	14,607
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,194)	(1,194)
	<u>8,522</u>	<u>13,413</u>
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	303	75
წინასწარ გადახდილი იჯარა	993	824
წინასწარი გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში	14,525	11,180
სხვა წინასწარი გადახდები	1,144	921
	<u>16,965</u>	<u>13,000</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u><u>25,487</u></u>	<u><u>26,413</u></u>

ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების მიმდინარე ღირებულება უტოლდება მათ სამართლიან ღირებულებას.

საშუალო კრედიტის დაფარვის პერიოდი საქონლის გაყიდვისას არის 26 დღე. (2019: 39). სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები სრულიად ექვემდებარება დაბრუნებას.

წინასწარი გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	14,499	11,127
ქონების გადასახადი	76	53
	<u>14,525</u>	<u>11,180</u>

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გაუფასურების ინდიკატორად განიხილებოდა. გაუფასურებული მოთხოვნები გვაქვს მოკავშირე მხარეებთან.

შენიშვნა 22 (ბ) შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ეხება საკრედიტო რისკზე მოქმედ ფაქტორებს და ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვთან. ზემოხსენებული გაუფასურების რეზერვი ეხება ბასს 39-ის შეფასების საფუძველს, რომელიც იყენებს მიღებული ზარალის ანაზღაურების მოდელს, ხოლო მიმდინარე წელს გამოიყენება ფასს 9, რომელიც მოსალოდნელი ზარალის მოდელია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22 (ა)-ში.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ფული სალაროში	-	494
საბანკო ანგარიშები	6,964	4,148
	<u>6,964</u>	<u>4,652</u>

ვალუტების მიხედვით გაშვები იხილეთ შენიშვნა 22 (ა)-ში.

9 კაპიტალი და რეზერვები

9.1 შენატანები კაპიტალში

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი წილისაგან, რომლის ნომინალური ღირებულებაა 167 ლარი (რომელიც ამ ფინანსურ ანგარიშგებაში მრგვალებს 0-მდე, რადგან ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია ათასობით ლარში) და ეკუთვნის Advanced Retail International Co. საუდის არაბეთის გაერთიანებულ სამეფოს (80%) და International Fashion Trading Limited, საუდის არაბეთის გაერთიანებულ სამეფოს (20%).

9.2 კაპიტალში კონტრიბუცია

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში ჯგუფში შემავალი კომპანიები მრავალ ტრანზაქციას ახორციელებენ სხვა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებთან. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მატარებლის მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა, ან შეიძლება განისაზღვროს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, ჯგუფში შემავალი კომპანიები მაკონტროლებელი მხარის მხრიდან იღებენ დამატებით ფულად სახსრებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკისა.

ჯგუფი მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს, როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ამონაგებს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით). ხოლო ფულისა და მისი ექვივალენტების ისეთ გადახდებს, რომლებიც გულისხმობს მანამდე კაპიტალში შენატანის სახით არსებული საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, ჯგუფი აღრიცხავს კაპიტალის კონტრიბუციის შემცირებას.

2018 წლის 31 მარტისთვის, ჯგუფმა მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან. სხვაობა, 4,785 ათასი ლარი ოდენობით, სესხის ნომინალურ ღირებულებასა და 8.5%-ით დისკონტირებულ სესხის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუცია (კაპიტალის ელემენტი). 2019 წლის 31 მარტისთვის ჯგუფმა კონტრაქტის ვადამდე დაფარა მთლიანი სესხი. სხვაობა სესხის სამართლიან ღირებულებაში, რომელიც გამოიწვია სესხის გადახდის ვადების მოდიფიცირებამ 3,586 ათასი ლარის ოდენობით, აღიარდა როგორც დამატებითი კაპიტალის კლება.

10 საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
მიმდინარე	11,050	-
გრძელვადიანი	71,907	-
	<u>82,957</u>	<u>-</u>

ჯგუფს აქვს იჯარით აღებული შენობები მაღაზიისთვის, საწყობისთვისა და ოფისისთვის. მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების ძირითადი აქტივების იჯარის გარდა, თითოეული იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც სარგებლობის უფლების მქონე აქტივი და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, გამოირიცხება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის საწყისი შეფასებიდან (როგორცაა საიჯარო გადასახადები ჯგუფური გაყიდვების პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე). ჯგუფი ცალკე წარმოადგენს აქტივის გამოყენების უფლებას (იხ. შენიშვნა 5).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ჯგუფის საიჯარო საქმიანობის ხასიათი გამოყენების უფლების მქონე აქტივის ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი საიჯარო ვადა	იჯარის რაოდენობა გაფართოების ვარიანტებით	იჯარის რაოდენობა შემდენის ვარიანტებით	იჯარის რაოდენობა ცვლადი გადახდით, რომელიც დაკავშირებულია ინდექსთან	იჯარის შეწყვეტის ვარიანტები
შენობები	45	9-15 წელი	12	45	-	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია დაკავშირებული ძირითადი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადები 2019 წლის 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მინიმალური საიჯარო გადასახადი	
	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ერთ წელიწადში		
საიჯარო გადასახადები	16,669	-
ფინანსური გადასახადი	(5,619)	-
	11,050	-
მეორედან მეხუთე წლების ჩათვლით		
საიჯარო გადასახადები	63,309	-
ფინანსური გადასახადი	(19,110)	-
	44,199	-
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადასახადები	45,831	-
ფინანსური გადასახადი	(18,123)	-
	27,708	-
წმინდა დღევანდელი ღირებულება	82,957	-

საიჯარო გადასახადები არ არის აღიარებული, როგორც ვალდებულება

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (საიჯარო მოსალოდნელი ვადა არის 12 თვე ან ნაკლები). ასეთი იჯარით გადახდილი თანხები იხარჯება წრფივი მეთოდის საფუძველზე. გარდა ამისა, დაუშვებელია გარკვეული ცვლადი საიჯარო გადასახადების აღიარება საიჯარო

ვალდებულებებზე და იხარჯება, როგორც გაწეული ხარჯები. გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულების გაზომვაში, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის
მოკლევადიანი იჯარები	3,884
ცვლადი საიჯარო გადასახადები	35
	3,919

ცვალეადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც გაიზარდა იმის საფუძველზე, რომ ისინი არ არიან აღიარებულნი როგორც საიჯარო ვალდებულება, მოიცავს გაქირავებას ძირითადი აქტივის გამოყენებიდან მიღებული შემოსავლისა და საოფისე ტექნიკის ჭარბი გამოყენების გადასახადის საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია გამოყენების უფლების მქონე აქტივების შესახებ, აქტივების კლასის მიხედვით, 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მოცემულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საბალანსო თანხა (შენიშვნა 5)	დაგროვილი ცვტა
შენიშვნები	87,411	6,275
სულ გამოყენების უფლების მქონე აქტივები	87,411	6,275

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
სავაჭრო ვალდებულებები	20,890	13,722
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	656	607
ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე	644	688
	22,190	15,017

ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მოიცავს საშემოსავლო გადასახადს.

ვალდებულებებზე ჯგუფის მიერ უცხოური ვალუტის რისკზე ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 22(ა)-ში.

12 შემოსავლები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის	2019 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის
ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები	147,187	118,667
ექსპორტზე გაყიდვები	5,943	4,432
	153,130	123,099

ჯგუფის შემოსავლები მთლიანად მიღებულია საქონლის გაყიდვით, შემოავლის აღირება ხდება საქონლის გაყიდვის მომენტშივე. ჯგუფს არ გააჩნია საკონტრაქტო ვალდებულებები, რომელთა პირობებიც არ შეუსრულებია.

13 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
მარაგების შესყიდვის ღირებულება	94,740	79,322
როიალტის გადასახადი	4,959	3,792
სხვა	41	-
	<u>99,740</u>	<u>83,114</u>

14 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
თანამშრომელთა ანაზღაურება	6,874	4,795
საკრედიტო ბარათის საკომისიო	1,111	708
სარეკლამო და გაყიდვების ხელშეწყობი ხარჯები	932	778
შიდა სატვირთო და სადისტრიბუციო ხარჯები	908	708
მასალები მაღაზიის დეკორაციისთვის	7	3
სხვა	231	173
	<u>10,063</u>	<u>7,165</u>

15 ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ცვეთა და ამორტიზაცია(შენიშვნა 4 და შენიშვნა 5)	13,659	6,992
მარაგების ჩამოწერა	6,348	-
იჯარა	3,919	11,878
თანამშრომელთა ანაზღაურება	3,161	4,541
გაუფასურებული მარაგების რეზერვის ზრდა	2,569	-
ბანკის საკომისიო	2,545	1,711
კომუნიკაციისა და კომუნალური დანახარჯები	1,583	1,382
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	916	932
მივლინება და ტრანსპორტირება	895	728
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	642	718
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	522	104
საოფისე ხარჯი	461	445
დაზღვევა	380	354
სხვა ხარჯები	525	487
	<u>38,125</u>	<u>30,272</u>

16 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
დაკავშირებული მხარეებისგან სესხებზე საპროცენტო ხარჯი	-	(398)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო შეთანხმებისთვის	(5,172)	-
სულ ფინანსური ხარჯი	(5,172)	(398)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	371	606
სულ ფინანსური შემოსავალი	371	606
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	(4,801)	208

17 საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	4,451	2,862
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	(1,581)	(641)
	2,870	2,221

18 მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომელებიც იბეგრება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისათვის.

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის გაანგარიშების წარდგენა არ ხდება, რამდენადაც დივიდენდები არ გამოცხადებულა 2020 და 2019 წლების 31 მარტისთვის.

კანონი მოგების გადასახადის შესახებ

ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (აქციონერებზე დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც დაკავშირებულია მოგების განაწილებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, არა გაშლილი ხელის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციები მოკავშირე მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). დაბეგრის შეცვლილი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულების მიმდინარე ღირებულებებში გადასახადებით გამოწვეული დროებითი სხვაობები არ არსებობს.

19 შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19-მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა.

ამან გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ჯგუფის ბიზნესზე, არამედ საქართველოში საცალო ვაჭრობის მთლიან სექტორზე. 2020 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის თვეში შემცირდა გაყიდვები. 2020 წლის მარტის ბოლოს, როდესაც საქართველოს მთავრობამ საქართველოში საგანგებო სიტუაცია გამოაცხადა,

ყველა მაღაზია დაიხურა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ადმინისტრაციული პერსონალი იმუშავებს სახლიდან, დისტანციურად.

ჯგუფის მენეჯმენტმა, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია, გადაწყვიტა შეენარჩუნებინა პერსონალი და გადაეხადა მათთვის მთელი ხელფასები 2020 წლის მარტისა და 2020 წლის აპრილისთვის.

ჯგუფი მუშაობს საუდის არაბეთის სათავო ოფისთან ერთად, სამუშაო პროცესის ორგანიზება ხდება ისე, რომ შეძლონ გაუმკლავდნენ ამგვარ გამოწვევებს. არ არსებობს მკაფიო გეგმა, იმისა თუ როგორ აპირებს ჯგუფი მთელი პერსონალის შენარჩუნებას, ეს დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე.

ჯგუფის მენეჯმენტს მოლაპარაკებები აქვს ყველა სავაჭრო ცენტრთან. მათ სურთ ქირავნობის პირობები უფრო მოქნილი გზებით შეცვალონ.

იმის გამო, რომ ჯგუფის მაღაზიები დაახლოებით ორი თვის განმავლობაში დაიხურა (მარტიდან მაისამდე), ინვენტარიზაციის მართვა სხვაგვარად განხორციელდება. ჯგუფის მენეჯმენტი აპირებს გაყიდვების გასაზრდელად აქციების გაკეთებას ძველი კოლექციისთვის. ჯგუფმა გადაწყვიტა ნაკლები კოლექცია შეისყიდოს.

ჯგუფი აპირებს მაღაზიების გახსნას ეტაპობრივად 2020 წლის მაისის ბოლოდან. მაღაზიები გაიხსნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

გარდა ამისა, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფის მენეჯმენტმა გადაწყვიტა ონლაინ გაყიდვების დაწყება და უკვე შექმნა შესაბამისი ონლაინ პლატფორმა (<http://rggdirect.ge/>), ასევე შესაძლებელია მობილური ინტერნეტის პროგრამების გამოყენებით შესყიდვების განხორციელება. ჯგუფმა დადო ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან და სთავაზობს მომხმარებლებს მიწოდების მომსახურებას ონლაინ შესყიდვებისთვის.

20 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და, რომლებიც სარწმუნოამიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

20.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგებს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულებები

ხელმძღვანელობამ შეაფასა რა ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულებები, აღიარა გაუფასურების ზარალი, რომელსაც წარმოადგენს სხვაობა აქტივების მიმდინარე ღირებულებასა და აღდგენით ღირებულებას შორის. შეფასებები ძირითადად ეყრდნობა დაშვებებს ცალკეული მაღაზიის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას და სხვა. (იხილეთ შენიშვნა 4). თუ რეალური შედეგები განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

მნიშვნელოვანი შეფასებები მარაგებში

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. მარაგების სამომავლო

რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოში საცალო ბაზარზე არსებულმა მდგომარეობამ, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

20.2 სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

კაპიტალში კონტრიბუცია

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში ჯგუფში შემავალი კომპანიები მრავალ ტრანზაქციას ახორციელებენ სხვა საერთო კონტროლის ქვეშ კომპანიებთან. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მაღაზიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა, ან შეიძლება განისაზღვროს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ.

ჯგუფში შემავალი კომპანიები მაკონტროლებელი მხარის მხრიდან იღებენ დამატებით ფულად სახსრებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკისა. ჯგუფის მიერ ჯერ არ განხორციელებულა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება ამ მიღებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება.

ჯგუფი მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ზენეფიტს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით).

2018 წლის 31 მარტისთვის, ჯგუფმა მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან პრივილეგიებული საპროცენტო განაკვეთითა და გრძელვადიანი გადახდის პერიოდით. სხვაობა, სესხის ნომინალურ ღირებულებასა და 8.5%-ით დისკონტირებულ სესხის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუცია (კაპიტალის ელემენტი). 2019 წლის ბოლოს სესხი მთლიანად იქნა დაფარული ვადამდე, სხვაობა კი, რომელიც წარმოიშვა სესხის გრაფიკის ცვლილებით, აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუციის კლება.

20.3 მნიშვნელოვანი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, მომავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებებია:

- ხელმძღვანელობა, შემდეგი 12 თვის განმავლობაში, ინვენტარიზაციების გადაჭაბებული რაოდენობით გამოწვეული დანაკარგების გარეშე, წარმატებულად აღმოფხვრის მოძველებულ ნაშთებს საწყობიდან და “outlet” მაღაზიებიდან გაყიდვების გზით 2019 წლის 31 მარტისთვის.
- როგორც ზემოთ აღნიშნულია მე -19 შენიშვნაში, დიდ სავაჭრო ცენტრებში და ზოგადად მაღაზიებში საცალო ვაჭრობის ცვლილებაზე რეაგირების მიზნით, ჯგუფმა დაიწყო ონლაინ გაყიდვები და შექმნა შესაბამისი ონლაინ პლატფორმა (<http://rggdirect.ge/>), ასევე შესაძლებელია შესყიდვები მობილური აპლიკაციების გამოყენებით.
- საბოლოო მაკონტროლებელი პირის მხრიდან არ მოითხოვება გაწეული ფინანსური დახმარების უკან დაბრუნება, რომელიც თავდაპირველად ჯგუფმა საპროცენტო განაკვეთის არმქონე სესხის სახით მიიღო, განუსაზღვრელი ვადით, პირობებითა და დაფარვის გრაფიკით. (იხ. შენიშვნა 9.2)

21 ფინანსური ინსტრუმენტები

21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.-ში.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,522	13,413
ფული და ფულის ექვივალენტები	6,964	4,652
სულ ფინანსური აქტივები	15,486	18,065

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი
ამორტიზებული ღირებულება		
საიჯარო ვალდებულებები	82,957	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,546	14,329
სულ ფინანსური ვალდებულებები	104,503	14,329

22 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფს ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროს სხვაობების რისკი.

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროს სხვაობები ჯგუფს წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში, ევროსა და ბრიტანულ ფუნტში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს საკუროს რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული

2020 წლის 31 მარტი

	აშშ დოლარი	ევრო	სხვა
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,401	110	6,325
ფული და საბანკო ანგარიშები	1,469	2,029	1,410
	2,870	2,139	7,735
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,293	7,724	992
	3,293	7,724	992
წმინდა პოზიცია	(423)	(5,585)	6,743

ერთეული

2019 წლის 31 მარტი

	აშშ დოლარი	ევრო	სხვა
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	953	59	13,579
ფული და საბანკო ანგარიშები	22	191	889
	975	250	14,468
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	747	5,905	148
	747	5,905	148
წმინდა პოზიცია	228	(5,655)	14,320

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% (2019:15%) კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 15% (2019: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2019: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარის, ევროს და ფუნტის მიმართებაში 15%-ით (2019: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		ფუნტის გავლენა	
	2020	2019	2020	2019	2020	2019
მოგება/ზარალი	63	(34)	838	848	(1,011)	(2,148)

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს ჯგუფის სავალუტო რისკის პოზიციას.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი განიცდის

საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები ბანკებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ჯგუფის მიერ, ჯგუფის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

ბანკებთან ფულადი ნაშთებისა და დეპოზიტების მიმართ საკრედიტო რისკის მართვა, ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და მხოლოდ მთავარ რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული.

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად მიიღება საცალო ვაჭრობიდან (96% -ზე მეტი) გაყიდვების დროს გარიგების ფულადი ანგარიშსწორებით. შემოსავლების დანარჩენი მცირე ნაწილი მთლიანად მიღებული აქვს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან ვაჭრობიდან (ტანსაცმლის საცალო ვაჭრობით Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co. ჯგუფთან). ჯგუფი არ იყენებს საკრედიტო შეფასებისა და მონიტორინგის პოლიტიკას საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტების მიმართ, რადგან ეს გარიგებები ხორციელდება Fawaz Abdulaziz Al Hokair Group- ის გლობალური ბიზნესის სავაჭრო მოდელის ფარგლებში და ამგვარი სავაჭრო გარიგებებიდან მოთხოვნები ძირითადად სრულად მიიღება.

ჯგუფს არ გააჩნია უსაფრთხოების სისტემები სავაჭრო მოთხოვნების ბალანსისთვის. ამის გარდა, ჯგუფს არ აქვს უზრუნველყოფები სხვა ფინანსურ აქტივებზეც (მაგალითად ფულზე და ფულის ექვივალენტებზე ბანკში).

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში, დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 48 თვის მანძილზე.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (შეწყვეტილია აღიარება), როცა აღარ არის მათი დაფარვის გონივრული მოლოდინი. ინვოისის გამოწერის თარიღიდან 180 დღის ვადაში გადაუხდელობა და ამასთან ჯგუფთან ჩაურთველობა ალტერნატიული გადახდის განსაზღვრისთვის, მიანიშნებს, რომ მოთხოვნის დაფარვის მოლოდინი არაგონივრულია.

ზემოთ აღწერილი ჯგუფის ოპერაციების მახასიათებლების (საცალო ვაჭრობა ფულადი ანგარიშსწორებით და დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციებით, რომლებიც ხორციელდება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს შორის) მიუხედავად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2020 წლის 31 მარტის და 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით შემდეგნაირად განისაზღვრა:

ათასი ლარი

2020 წლის 31 მარტი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მიმდინარე ღირებულება	მთლიანი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	(1,194)	(1,194)
		(1,194)	(1,194)

ათასი ლარი

2019 წლის 31 მარტი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მიმდინარე ღირებულება	მთლიანი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	(1,194)	(1,194)
		(1,194)	(1,194)

გაუფასურება ეხება 2 ინდივიდუალურ მოთხოვნას, რომელიც წარმოიშვა 2012 წელს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2020 წლის მარტი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		5.81%	
6 თვეზე ნაკლები	21,546	5,525	27,071
6 თვიდან 1 წლამდე	-	5,525	5,525
1-5 წლამდე	-	44,198	44,198
5 წელზე მეტი	-	89,276	89,276
	21,546	144,524	166,070

2019 წლის 31 მარტი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)			
6 თვეზე ნაკლები	14,329	-	14,329
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
	14,329	-	14,329

ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულადი ნაკადების ლიკვიდურობის რისკს, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. ჯგუფის ფული და მოთხოვნები აღემატება ფულად გადახდებზე არსებულ მოთხოვნებს.

23 სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე სამართლიანი ღირებულების განსაზღვრადობის ხარისხის მიხედვით. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების;
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

23.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

ამორტიზირებული ღირებულებით განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა რეალური ღირებულება წარდგენილია

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ მიმდინარე ღირებულებებს.

რეალური ღირებულება განისაზღვრება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის შესაბამისი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით. შედეგად ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის დისკონტის განაკვეთი. შეფასებული რეალური ღირებულებები ზემოთ ხსენებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეზე.

23.2 არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა, კომპიუტერული სა სხვა ტექნიკა), სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც განიცდიდნენ გაუფასურებას 2020 წლის 31 მარტისთვის, კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 ან მე-3 დონეზე.

ინდივიდუალური აქტივების სამართლიანი ღირებულება გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით განისაზღვრება საბაზრო მეთოდით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეების გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში, მოცემული შენატანები განისაზღვრება, როგორც “იძულებითი გაყიდვები”, იმ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი აქტივებისთვის აქტიური ბაზარი ან მონაწილეთა სურვილი არ არსებობს. “იძულებითი გაყიდვების” შეფასების ძირითადი მიდგომები მოიცავს შემდეგს:

- აქტივებზე მოთხოვნის ელასტურობა;
- გაყიდვისთვის საჭირო მოსალოდნელი დრო;
- პოტენციური ბაზრის მონაწილეთა დაფინანსების ხარჯები, საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

24 გაუთვალისწინებელი გარემოებები

24.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებსაც საქართველოსთან აქვთ ურთიერთობა განაპირობა საზღვარგარეთ ფულადი გზავნილების დეფიციტი, რომლებზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა. რეგიონულ პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების ვარდნამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობების განუსაზღვრელობამ, ინფლაციმ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომლითაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

25 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ჯგუფის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2018 წლის 1 აპრილი	10,625	-	10,625
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის დაფარვა	(15,125)	-	(15,125)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
სამართლიანი ღირებულება	3,586	-	3,586
დარიცხული პროცენტი	398	-	398
საკურსო სხვაობა (მეტობა)	516	-	516
2019 წლის 31 მარტი	-	-	-
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის დაფარვა	-	(9,662)	(9,662)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
ფასს 16-ის შესაბამისად საიჯარო ვალდებულების აღიარება	-	87,411	87,411
დარიცხული პროცენტი	-	5,172	5,172
საკურსო სხვაობა (მეტობა)/დანაკლისი	-	36	36
2020 წლის 31 მარტი	-	82,957	82,957

26 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი აქციონერები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

26.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის მფლობელია “Advanced Retail International Co United Kingdom of Saudi Arabia”, რომელიც ფლობს 80% წილს. 20%-ის მფლობელს კი წარმოადგენს “International Fashion Trading Limited, United Kingdom of Saudi Arabia”. საბოლოო მკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს “Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co., United Kingdom of Arabia”.

26.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის	2019 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის
ტრანზაქციები		
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
საქონლის რეალიზაცია	5,943	4,432
მარაგების შესყიდვა	67	443
საპროცენტო ხარჯი	-	398
სესხების დაფარვა	-	15,125
<i>ხელმძღვანელობის ანაზღაურება და ბენეფიტები</i>		
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი და ბენეფიტები	1,947	1,802
ათასი ლარი	2020 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის	2019 წლის 31 მარტის დასრულებული წლისათვის
ბალანსები		
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,522	13,413
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	220	448

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T. + 995 322 604 406

შპს Retail Group Georgia-ს ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს Retail Group Georgia-მ და მისმა შვილობილმა კომპანიებმა (შემდგომში „ჯგუფი“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2020 წლის 31 მარტისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ ჯგუფის 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2020 წლის 21 მაისს გავეცით ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა ჯგუფმა და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედრილობაზე ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- აუდიტის განხორციელების პროცესში ჯგუფის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;

- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნევთ, თუკი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ ჯგუფს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით ჩვენ არ განგვისაზღვრავს არსებითობის სხვა კრიტერიუმები. ჩვენს მიერ ჩატარებული პორცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული
აუდიტორი



2020 წლის 17 დეკემბერი

თბილისი

მმართველობითი ანგარიში
2019-20 ფინანსური წელი

მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები:

უფლებამოსილი წარმომადგენელი
რევაზ მაღალაშვილი

ფინანსური მენეჯერი
ფიქრია გვიშიაძე

შპს „Retail Group Georgia“ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და მრავალფეროვანი პორტფოლიოს მქონე Alhokair Fashion Retail-ის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიაა, რომლის სათავე ოფისი საუდის არაბეთში მდებარეობს. Alhokair-ი 90-მდე ბრენდს აერთიანებს, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ამერიკაში 2 000-ზე მეტ მაღაზიას უძღვება. ჯგუფის ოფიციალური ვებ საიტია <http://www.fawazalhokairfashion.com/>.

Alhokair-ი საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს სავაჭრო ნიშანზე უფლებას ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ისეთ ბრენდებზე, როგორიცაა Zara, Massimo Dutti, Marks&Spencer, Mango, Us Polo, Charles & Keith, Monsoon, Flormar, Aldo, GAP, და სხვ. სავაჭრო ობიექტების მართვა ხორციელდება ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ყველა მოთხოვნის დაცვით.

შპს Retail Group Georgia-ს დამფუძნებლებს წარმოადგენენ შემდეგი იურიდიული პირები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Advanced Retail International Co., საუდის არაბეთის სამეფო, , 101028295 -80% წილის მესაკუთრე და International Fashion Trading Limited A010/04/11/3277, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 20% წილის მესაკუთრე. მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისგან, ხოლო წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

დანარჩენი 9 კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია შპს „Retail Group Georgia“ – 100% წილის მესაკუთრე. ეს კომპანიებია:

Retail Group Georgia-ს შვილობილი კომპანიები	ბრენდის დასახელება	სავაჭრო მოლი	გახსნის დღე	ფართი (კვ.მ)	დასაქმებულთა სამუშალო რაოდენობა
Best Retail Georgia	Bershka	East point	09/11/2015	822	12
	Bershka	Tbilisi Mall	04/07/2012	732	17
	Bershka	City Mall	17/10/2019	656	9
Fashion Retail Georgia	2 Go	Gldani City Mall	21/10/2017	583	5
	Aldo	East point	09/12/2015	201	5
	Aldo	Tbilisi Mall	04/07/2012	145	6
	Aldo	City Mall	17/10/2019	179	3
	Aldo Accessories	East point	09/12/2015	72	5
	Charles & Keith	East point	09/12/2015	117	5
	Charles & Keith	Tbilisi Mall	04/07/2012	149	5
	Charles & Keith	City Mall	17/10/2019	138	3
	Clarks	Tbilisi Mall	14/07/2012	108	5
	Clearance FRG	Tbilisi Mall	01/05/2020	204	6
	F&F	Tbilisi Mall	18/08/2013	401	9
	F&F	East point	18/06/2018	185	6
	Flormar	East point	09/12/2015	41	5
	Flormar	Tbilisi Mall	30/05/2014	49	5
	Flormar	City Mall	17/10/2019	54	3
	Jennyfer	Tbilisi Mall	25/12/2012	122	5
	La Vie En Rose	Tbilisi Mall	04/08/2012	135	5
	La Vie En Rose	City Mall	17/10/2019	129	3

	Lasenza	Tbilisi Mall	04/07/2012	168	5
	Lipsy	Tbilisi Mall	04/09/2012	170	4
	US Polo	East point	09/12/2015	264	5
	US Polo	Tbilisi Mall	04/07/2012	197	5
	US Polo	City Mall	17/10/2019	200	3
	Wallis	Tbilisi Mall	21/11/2012	159	5
	Mango	East point	19/09/2015	1365	24
	Mango	Tbilisi Mall	09/04/2015	769	17
	Mango	City Mall	17/10/2019	577	9
	Monsoon	East point	10/03/2018	200	6
	Monsoon	Tbilisi Mall	22/06/2018	202	8
	Monsoon	City Mall	17/10/2019	160	4
	Quiz	Tbilisi Mall	20/10/2012	110	4
	Sgt. Major	East point	09/12/2015	89	4
	Sgt. Major	Tbilisi Mall	05/11/2012	130	5
	Spring	Tbilisi Mall	13/09/2012	88	5
	Promod	Tbilisi Mall	19/11/2012	188	5
	Ziddy	East point	09/12/2015	274	6
	Ziddy	Tbilisi Mall	12/12/2014	281	6
	Ziddy	City Mall	17/10/2019	136	3
Global Apparel Georgia	Banana Republic	Tbilisi Mall	21/06/2012	395	4
	GAP	Tbilisi Mall	14/07/2012	663	8
Retail Group Georgia	Marks & Spencer	Tbilisi Mall	11/03/2012	1289	16
Master Retail Georgia	Massimo Dutti	East point	09/12/2015	872	10
	Massimo Dutti	Merani Mall	26/04/2013	600	14
	Massimo Dutti	Tbilisi Mall	04/07/2012	555	14
	Massimo Dutti	City Mall	17/10/2019	600	9
Retail Group Holding	Oysho	Tbilisi Mall	04/07/2012	224	7
	Oysho	City Mall	17/10/2019	312	5
Pro Retail Georgia	Pull & Bear	Tbilisi Mall	04/07/2012	559	15
	Pull & Bear	City Mall	17/10/2019	792	11
Mega Store Georgia	Stradivarius	East point	09/12/2015	435	10
	Stradivarius	Tbilisi Mall	04/07/2012	293	13
	Stradivarius	City Mall	17/10/2019	429	9
Spanish Retail Georgia	Zara	East point	09/11/2015	2238	45
	Zara	Merani Mall	05/10/2013	1999	58
	Zara	Tbilisi Mall	04/07/2012	1974	57
	Zara	City Mall	17/10/2019	2834	39
Master Home Retail	Zara Home	Tbilisi Mall	02/02/2018	468	10
ჯამო				608	

წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. დამფუძნებლები/პარტნიორები ფლობენ კომპანიის წესდებითა და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

შპს „Retail Group Georgia“-ში (სათაო) დასაქმებულია 84 ადამიანი, აქედან 67 თანამშრომელი უწევს ადმინისტრაციულ მომსახურებას ჯგუფის დანარჩენ კომპანიებს, ხოლო 16 ადამიანი დასაქმებულია უშუალოდ Marks & Spenser-ის სავაჭრო ობიექტში (თბილისი მოლი).

2019 წლის ოქტომბერში ჯგუფმა გახსნა 14 ახალი კონცეფციის მაღაზია თბილისის ცენტრში, საბურთალოზე მდებარე სავაჭრო ცენტრში “სითი მოლი”. ახალი ობიექტების გახსნით მოხდა 25 მილიონი ლარის ინვესტირება და დამატებით დასაქმდა 200-ზე მეტი ადამიანი. წლების მანძილზე განვახორციელეთ ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია, წარმოდგენილი ვართ დედაქალაქის 4 სავაჭრო მოლში, დასაქმებული გვყავს 600-ზე მეტი მოქალაქე და იმედი გვაქვს, რომ ტენდენცია ასევე გაგმელდება კომპანიის ზრდისა და განვითარების პარალელურად. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ბრენდ პარტნიორებმა არაერთხელ გვადიარეს ჩვენი მაღალი სტანდარტების გამო ქართულ ბაზარზე, გადმოგვცა არაერთი საერთაშორისო ჯილდო. მომდევნო ფინანსურ წელს არა მხოლოდ თანამშრომლების რიცხვის გაზრდას ვგეგმავთ, არამედ - ბრენდებისაც.

ბოლო ორი წლის განმავლობაში პერმანენტულად მიმდინარეობს მარკეტინგული ღონისძიებები პრომო აქტივობების მხარდასაჭერად, ახალი სეზონის, ფასდაკლების ანონსირების, ახალი ბრენდებისა და მაღაზიების ბაზარზე შემოყვანის მხარდაჭერის, ბრენდების ბაზარზე პოზიციონირებისთვის. მარკეტინგული აქტივობები მიმდინარეობს როგორც მაღაზიებში, ასევე მოლებში, ონლაინ არხებით, სოციალური მედიის საშუალებით (ფეისბუქი, ინსტაგრამი), ტელევიზიით საერთაშორისო ბრენდების სეზონური გაიდლაინების შესაბამისად და ლოკალური ბაზრის სპეციფიკაციის გათვალისწინებით.

ასევე, კომპანია პარტნიორულ პროექტებს ახორციელებს სხვა ბიზნეს სუბიექტებთან - საქართველოს ბანკთან, თიბისი ბანკთან, მასტერქარდთან, თბილისი მოლთან, ისთ ფოინთან, მერანი მოლთან, სითი მოლთან ერთობლივი პროდუქტებისა და აქციების მხარდაჭერით, მედიასთან – პრინტ, ონლაინ და ტელე გადაცემებში ბრენდების და კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ბოლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი პარტნიორული პროექტი სხვადასხვა მიმართულებით: ორგანიზაცია “Caritas Georgia”-სთან თანამშრომლობით Retail Group Georgia-მ განათავსა საქველმოქმედო ყუთები რამდენიმე მაღაზიაში, სადაც სოციალურად დაუცველებისთვის ხდება ტანსაცმლისა და სხვა ნივთების შგროვება.

როგორც აღვნიშნეთ, ჯგუფს საქართველოში დასაქმებული გვყავს 600-ზე მეტი ადამიანი. Retail Group Georgia-ს შრომითი ხელშეკრულება სრულიად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან, ეთიკის ნორმებთან და შრომით კანონმდებლობასთან. არ არსებობს პუნქტი რომელიც აუარესებს შრომითი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, პირიქით მაქსიმალურად იცავს დასაქმებულის ინტერესებს. სასამართლო დავის რისკები დაყვანილია მინიმუმამდე, რადგან ჩვენ ყოველთვის ვიცავთ დასაქმებულების ინტერესებს და მაქსიმალურად ვცდილობთ მათი ცნობიერების გაზრდას მათივე უფლებების შესახებ. დასაქმებულებს მკაფიოდ განსაზღვრული აქვთ შინაგანაწესი და ღირებულებები, მათი შესრულების საკვანძო მაჩვენებლები (KPI) მათთან წლის დასაწყისში თანხმდება, ხელმოწერით დასტურდება და მასზე დაყრდნობით ეძლევათ შესრულებაზე უკუკავშირი.

ამასთან, მუდმივად ვიღებთ რეკომენდაციებს როგორც ლეგალური შიდა წყაროებიდან, ისე საკონსულტაციო კომპანიისგან, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ნებისმიერი საკადრო რისკი დაყვანილი იყოს მინიმუმამდე. კომპანია ყოველ წელს ატარებს კმაყოფილებისა და ჩართულობის სრულფასოვან გამოკითხვას, რათა გაიგოს დასაქმებულთა კმაყოფილების დონე და დაადგინოს ის ასპექტები და საჭიროებები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. ასევე,

პერიოდულად ვატარებთ სახელფასო კვლევებს, რათა გავარკვიოთ თუ რამდენად კონკურენტული დასაქმების პირობები გვაქვს.

ჩვენი მთავარი კონცეფცია ასეთია: ავიღოთ საუკეთესო საერთაშორისო მოდის ბრენდები, მათი პრინციპები და ეს ყველაფერი გავაზავოთ ადგილობრივ ბაზარზე დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან, რასაც ამავე ბაზარზე გამოცდილებამიღებული კადრები ფლობენ. ამიტომაცაა, რომ ყველაზე წარმატებული მსოფლიო ბრენდები სწორედ ჩვენ გვირჩევენ პარტნიორად.

კომპანია ცხრა წლის თავზე საკუთარ თავს ასე ხედავს: განვითარების პროცესი, ცხადია, გრძელდება და ეს მუდამ გააზრებული გვაქვს. ბაზრის კვლევას - მოდის ტენდენციების ცვლილებას, მომხმარებლების ჩვევების შესწავლას კომპანია დღემდე დიდ დროს უთმობს. სწორედ კლიენტებთან დამყარებული უკუკავშირის საფუძველზე ვახერხებთ გავითვალისწინოთ მომხმარებლის ინტერესები, დავამკვიდროთ ვაჭრობის სფეროში მომსახურების ნოვატორული სტანდარტი და მსოფლიო ტენდენციების ფეხდაფეხ შევთავაზოთ ქართველ მომხმარებლებს მუდმივად განახლებული კოლექციები, სპეციალური აქციები, ფასდაკლებები, სასაჩუქრე ბარათები და ნოვატორული პროდუქტები ჩვენს პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად.

The Saudi Stock Exchange Tadawul - <https://www.tadawul.com.sa>-ზე გამოქვეყნებულია Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება და შენიშვნები (იხ. ცხრილი ქვემოთ).

მილიონი საუდის
არაბეთის რიალი, SAR

დასახელება	ფინანსური წელი 2019-20	ფინანსური წელი 2018-19	ცვლილება %
შემოსავლები	5,341.8	5,425.80	-1.55
წლის საერთო მოგება/ზარალი	407.8	1,084.50	-62.4

გამოქვეყნებული ანგარიშგების მიხედვით მიმდინარე ფინანსურ წელს (2019-20) Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის შემოსავლები შემცირებულია 1.55%-ით წინა ფინანსურ წელთან (2018-19) შედარებით. ასევე, წინა წელთან შედარებით, 62.4%-ით შემცირებულია მიმდინარე წლის მოგება. ცვლილებების მიზეზი შემდეგია:

1. შემოსავლების შემცირება 1.6%-ით წინა ფინანსურ წელთან შედარებით განპირობებულია ბრენდ პორტფოლიოს განახლების სტრატეგიასთან, რომელმაც განაპირობა წამგებიანი მაღაზიების დახურვა და დაბალშემოსავლიანი ბრენდების გაყვანა ბაზრიდან. ასევე, Covid-19 გამოწვეული პანდემიის გამო დაიხურა სავაჭრო ცენტრები და ლოკაციები, რამაც უარყოფითად იმოქმედა ჯგუფის შემოსავლებზე ყველა ქვეყანაში.

2. საერთო მოგების შემცირება 62.4%-ით განპირობებულია ძველი მარაგების გაუფასურებით (ჯამში 596.7 მილიონი SAR). ასევე, კომპანია გადავიდა იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ზე (IFRS 16), რომელიც ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს გრძელვადიანი იჯარისთვის. შესაბამისად, ჯგუფმა, როგორც მოიჯარე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახა აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთის ხარჯი საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად და საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;

როგორც ავღნიშნეთ, შპს Retail Group Georgia არის Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის წარმომადგენელი კომპანია საქართველოში. თუ შეხედავთ ორივე წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი ქვემოთ), 2019-2020 ფინანსური წელი საკმაოდ ძლიერი იყო Retail Group Georgia-თვის, რამაც მოგვცა საშუალება გავმკლავებოდით Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და შეგვენარჩუნებინა სამუშაო ადგილები.

შემოსავლები

კონსოლიდირებული

ლარი	2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით	2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით
ადგილობრივი გაყიდვები	147,187.00	118,667.00
ექსპორტი	5,943.00	4,432.00
	<u>153,130.00</u>	<u>123,099.00</u>

2020-2021 ფინანსური წლისათვის ვგეგმავთ ნაკლებშემოსავლიანი მაღაზიების ახალი ბრენდებით ჩანაცვლებას. უკვე შეთანხმებული გვაქვს 4 ახალი ბრენდის შემოყვანა ბაზარზე.

ჩვენი ბიზნესის წარმატებისათვის მთავარ გამოწვევად რჩება კონკურენცია ონლაინ არხებიდან, ასევე მომხმარებელთა პრეფერენციების ცვლილების ტემპი. ამიტომ, 2020 წლის შემოდგომაზე ქვეყნის საცალო ბაზარს მნიშვნელოვან სიახლეს შევთავაზებთ. ჩვენი ჯგუფის უდიდესი ბრენდი ონლაინ გახდება ხელმისაწვდომი ქართველი მომხმარებლისთვის. მომდევნო 2 წლის მანძილზე კიდევ 8 ბრენდი დაემატება ონლაინ სივრცეს.

როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი ფინანსური წლის მთავარ გამოწვევად რჩება გამძაფრებული კონკურენცია და ბაზრის წილის ზრდა. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკა იზრდება ვალუტის კურსის მკვეთრი მერყეობით და ფასების ზრდის თანხლებით. სავალუტო რისკი ჩვენი ჯგუფისთვის წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის (აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი) კურსის ცვლილებით ლართან მიმართებაში, რაც წარმოიქმნება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას. კომპანიას ჩამოაყალიბებული აქვს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის გაზომვის, კონტროლირებისა და მისი გავლენის მინიმუმამდე დაყვანას. მაგალითად, ექსპორტის შემთხვევაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) თუ გვაქვს მოლოდინი, რომ მისაღები ვალუტა გაუფასურდება რამოდენიმე კვირაში, ვითხოვთ გადასახდელი თანხის დაუყოვნებლივ მიღებას.

იმპორტის შემთხვევაში, თუ გვაქვს მოლოდინი, რომ ადგილობრივი ვალუტა გაუფასურდება, ბრენდ პარტნიორებთან მოლაპარაკებების გზით ვცდილობთ გადასახდელი თანხის გადავადებას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შეთანხმებით (დაკავშირებულ მხარეებთან) ან საკრედიტო ვადების გაზრდით.

რაც შეეხება სხვა რისკებს, ჩვენს მთავარ გამოწვევად რჩება ის სავაჭრო ობიექტები და აუთლეტები, რომლებიც ვაჭრობენ ისეთი ბრენდებით, რომლებზეც ფრანშიზული შეთანხმება საქართველოს ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ Retail Group Georgia-ს ჯგუფში შემავალ კომპანიებს. რა თქმა უნდა ასეთ კომპანიებს გარდა იმისა, რომ ეწევიან არაკანონიერი გზით სხვადასხვა ბრენდების რეალიზაციას, არ აქვთ ის უპირატესობები, რომელსაც ჩვენ, როგორც ფრანჩაიზი ვიღებთ ბრენდ პარტნიორისგან: ექსკლუზიურობა, უნიფიცირებული პოლიტიკა და პროცედურები, ცენტრალიზირებული შესყიდვები ფასდაკლებით, მუდმივი კონსულტირება პროდუქციასთან დაკავშირებით, თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

რითეილ გრუპ ჯორჯიასა და მის ჯგუფში შემავალ კომპანიებზე, ისევე როგორც მთლიანად რითეილის სექტორზე, Covid 19-ის უარყოფითი გავლენა ცალსახაა. ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს, როცა არ არსებობდა შეზღუდვები გადაადგილებასა და შეკრებაზე, ბრუნვამ საგრძნობლად იწყო კლება. ეს ტენდენცია გაგრძელდა მარტშიც და 21 მარტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე შემოსავლებმა 41%-ით იკლო გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. Retail Group Georgia-მ, გამოიჩინა რა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თანამშრომლების და მომხმარებელთა

უსაფრთხოების მიზნით მაღაზიათა ქსელი ჯერ კიდევ 19-20 მარტს ეტაპობრივად დახურა, ხოლო ადმინისტრაცია სახლიდან მუშაობის წესზე გადაიყვანა.

საქმიანობის აკრძალვის მიუხედავად, კომპანიამ დღეის მდგომარეობით შეინარჩუნა ყველა საშტატო ერთეული, სრულად გასცა მარტის და აპრილის ხელფასები. სამწუხაროდ, ათობით სერვის კონტრაქტორი, რომელიც კონკრეტულ მომსახურებას საათობრივი ანგარიშსწორების სანაცვლოდ უწევდა Retail Group Georgia-ს, ვეღარ ახერხებს მომსახურების მიწოდებას შეზღუდვების გამო და უშემოსავლოდ დარჩა.

კომპანია საუდის არაბეთის სათავო ოფისთან შეთანხმებით მუშაობს ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უკეთესად უპასუხებს ახალ გამოწვევებს. უდავოა, რომ მოსალოდნელი კრიზისის ფონზე შეუძლებელი იქნება არსებული საკადრო რესურსის სრულად შენარჩუნება.

Retail Group Georgia აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა სავაჭრო ცენტრებთან შეცვლილ გარემოებებთან საიჯარო ხელშეკრულებების მისადაგების თვალსაზრისით. შედეგად შეზღუდვების პერიოდში არ მომხდარა ვალდებულების დარიცხვა, ხოლო ნაწილობრივი შეზღუდვების პერიოდში მხარეებმა შეღავათიან პერიოდზე მოილაპარაკეს. ვინაიდან კრიზისი დიდი ალბათობით 2021 წელსაც გაგრძელდება საშეღავათო საიჯარო პირობები სავაჭრო ცენტრებთან მომავალ წელზეც შეთანხმდა. ჯგუფის სათავო ოფისი აქტიურად არის ჩართული მომწოდებლებთან მოლაპარაკებაში, მომდევნო სეზონების კოლექციების კორექტირებისა და გადახდის უკეთესი პირობების შესათანხმებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ 2020-21 წელს კომპანია რამდენიმე თვის განმავლობაში გაჩერებული იქნება, მარაგების მართვა ჩვეულებრივთან შედარებით განსხვავებული წესით მოხდება. მარაგების ნაწილი ფასდაკლებით გაიყიდება, რათა მოხდეს ფულადი ნაკადების აკუმულირება შემდეგი სეზონის კოლექციების ღირებულების გასასტუმრებლად. თუმცა, აქტიურად ვმუშაობთ შეკვეთილი კოლექციების შემცირებაზე და მიმდინარე მარაგების გამოყენება მოხდება როგორც 2020-ის ზამთრის სავაჭრო პერიოდში, ასევე 2021-ის გაზაფხულ-ზაფხულსა და 2021 წლის შემოდგომაზე. შესაბამისად არსებული ნაშთების გათვალისწინებით დაკორექტირდება უახლოესი ერთი წლის შეკვეთები.

შეზღუდვების ფონზე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, კომპანიამ მომწოდებელთაგან მოიპოვა ონლაინ რეალიზაციის უფლება და საქართველოში არსებულ ინტერნეტ მაღაზიებთან აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა. ასევე, შეიქმნა ტელეგაყიდვების მარტივი პლატფორმა. ინტერნეტ ვაჭრობა, ერთი მხრივ, კომპანიას ეხმარება რთული პერიოდის გადალახვაში და მეორე მხრივ, გზას უკვალავს მზარდი ონლაინ კომერციის ინდუსტრიაში ადგილის დასამკვიდრებლად. 2020 წლის ოქტომბერში გაეშვა Zara-ს ოფიციალური ონლაინ მაღაზია, რომელმაც მალევე პოპულარობა ჰპოვა.

Retail Group Georgia-ს მუშაობა პირველად 21 მარტიდან 1 ივნისამდე შეეზღუდა. როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ტანსაცმლის რითეილის სექტორისთვის შეზღუდვები მოიხსნა, Retail Group Georgia-მ განაახლა საქმიანობა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით. 28 ნოემბრიდან ტანსაცმლის რითეილს, ისევე როგორც ყველა ბიზნეს სექტორს, გარდა იმ კომპანიებისა, რომლებიც პირველადი მოხმარების პროდუქციით ვაჭრობს, კვლავ შეეზღუდა ოპერირება. კომპანია ელის 24 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით და შემდგომ 18 იანვრიდან კვლავ მიეცეს ფუნქციონირების საშუალება. კომპანიას ემსახურება შრომის უსაფრთხოების ექსპერტთა ჯგუფი, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომელთა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვა.

2020-21-ის ფინანსური მაჩვენებლები მეტწილად განპირობებული იქნება კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე, რომელთა პროგნოზირება შეუძლებელია.